ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2274513

ნომერი: AR1351023

თარიღი : 28.10.2015

გაცემის თარიღი : 02.11.2015

გაცნობის თარიღი : 03.11.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩოლოყაშვილი , N 48 ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ჩიკვილაძე პ/ნ 01001013965
- გლდანი, I მ/რ, კორპ.23, ბინა 58

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  კორექტირება
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  კორექტირება
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ თავდაპირველად ატვირთული გქონდათ განაცხადები AR1203749; AR1205075; AR1306695, რომლითაც ითხოვდით ავტოსამრეცხაოს მოწყობას, ხოლო AR1310712 განაცხადით საჩრდილობელს, რომლებზეც გეთქვათ უარი. შემდეგ AR1323488 განაცხადით გაიცა წერილობითი თანხმობა საჩრდილობლისა და ღობის მოწყობაზე. შეთანხმებული ფოტომონტაჟის მიხედვით საჩრდილობელთან მოხვედრა ხდება ეზოს მხრიდან. ამჟამად წარმოდგენილი კორექტირებული ფოტომონტაჟის მიხედვით კი ითხოვთ ეზოში შესასვლელი ჭიშკრის გადაადგილებას, რომლის მიხედვითაც საჩრდილობელში შესვლა მოხდება პირდაპირ ქუჩიდან, რითაც იქმნება შთაბეჭდილება იმისა, რომ მოხდება ავტოსამრეცხაოს მოწყობა, რასაც თავდაპირველად ითხოვდით და ვინაიდან აღნიშნული ობიექტი განთავსებულია ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობის იერსახესა და მისი შემდგომი განვითარების კუთხეს, ამასთანავე საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 1-ში (სსზ-1), რომელიც წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის განაშენიანების ზონას, მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება მსგავსი სახით (დაბალი ინტენსივობის), მცირე ზომის I კლასს დაქვემდებარებული შენობის (ავტოსამრეცხაოს) განთავსება სამსახურს მიუღებლად მიაჩნია, მით უმეტეს, რომ შესვლა უნდა განხორციელდეს ქუჩის მხრიდან, რაც დაუშვებელია (შესვლა არ უნდა იყოს ქუჩის მხრიდან აღქმადი და შესაბამისად შესვლა უნდა მოხდეს ეზოს მხრიდან).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურს შესასვლელი ჭიშკრის გადაადგილება მიზანშეწონილად არ მიაჩნია და მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.